

ბერნჰარდ შლინკის რომანი „წამკითხველი“ და მისი სტივენ დოლდრისეული 2008 წლის კინოადაპტაცია - დანაშაულის და სასჯელის რეცეფცია

მანანა პაიჭაძე

საკვანძო სიტყვები: ბერნჰარდ შლინკი, წამკითხველი, ქეით უინსლეთი, რაღფ ფაინსი, სტივენ დოლდრი, დავიდ კროსი

ბერნჰარდ შლინკი დიდი სახელია თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში. პირველი პროფესიით იურისტი, სამართალმცოდნეობის პროფესორი, 13 წიგნის ავტორია. მაგრამ ჭეშმარიტად დიდი აღიარება ლიტერატურის ასპარეზზე მას მოუტანა 1995 წელს დაწერილმა რომანმა „წამ-კითხველი“ („Der Vorleser“). ეს ნაწარმოები თავისი ნარატოლოგიური ტექნიკით თითქოს არაფრითაა გამორჩეული - სადა, დინჯი, მშვიდი თხრობა, რომელიც არც ერთ მონაკვეთში არ კარგავს თავის ტემპო-რიტმიკას; ამასთან თემატური კოლიზიების სწრაფი და კონტრასტული დინება, მთავარი მოქმედი გმირების - მიხაელ ბერგის და ჰანა შმიცის ხასიათების თანდათანობითი გაშლა და მათი ფსიქოტიპების სიღრმისეული არსის გაშლა. ამ ნაწარმოებში დანაშაულის და სასჯელის რეცეფცია უკავშირდება ჰანა შმიცის პიროვნებას. იგი ჩადის ორ დანაშაულს - 1. სექსუალურ ურთიერთობას ამყარებს არასრულწლოვანთან; 2. მეორე მსოფლიო ომის დროს SS-ის რიგებში ჩაეწერა და საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველი იყო. ჰანა შმიცის ფსიქოტიპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ანალფაბეტიზმი - წერა-კითვის უცოდინრობა. ანალფაბეტიზმის მიზეზი სხვადასხვაა - რიგ შემთხვევებში ეს შეზღუდულ შესაძლებლობებზეც მიგვანიშნებს. ჰანა შმიცის წერა-კითხვის უცოდინრობის მიზეზი არის მისი დაბალი სოციალური წარმომავლობა. ანალფაბეტიზმი, როგორც წესი, მაღავენ ამ ფაქტს. ასევე იქცევა ჰანა შმიცი, რომელიც ამ ნაკლის დამალვის მსხვერპლი ხდება და მას სასამართლო პროცესზე მიუსჯიან უვადო თავისუფლების აღკვეთას. პატიმრობაში ყოფნისას ჰანა შმიცი იღებს აუდიოკასეტებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ჩანაწერებით, რომლებსაც მისთვის მიხაელ ბერგი კითხულობს. ამის წყალობით იგი მეტამორფოზას განიცდის - ის დაეუფლება წერა-კითხვას და გაიაზრებს თავის დანაშაულს, რის შედეგადაც ციხეში თავს ჩამოიხრჩობს. ის თავის ადგილს თანამედროვე რეალობაში ვეღარ ხედავს. ცნობილი ბრიტანელი თეატრისა და კინოს რეჟისორის სტივენ დოლდრის მიერ 2008 წელს გადაღებული კინო-ადაპტაცია თავისი ვარსკვლავური შემადგენლობით (ქეით უინსლეთი, რაღფ ფაინსი, დავიდ კროსი) საკმაოდ ზუსტად მიჰყვება ლიტერატურულ პირველწყაროს. როგორც წიგნი, ისე ფილმი წარმოადგენს დიდ სასიყვარულო დრამას და პოლიტიკური და ანტიჰუმანური დანაშაულის ჩამდენის გასამართლების დრამას, რაც კარლ იასპერსის ცნობილი ლექციის „გერმანელთა დანაშაულის საკითხი“ (1946) ტრილში უნდა განვიხილოთ.

ბერნჰარდ შლინკი დიდი სახელია თანამედროვე გერმანულ ლიტერატურაში. პირველი პროფესიით იურისტი, სამართალმცოდნეობის პროფესორი, 13 წიგნის ავტორი. მაგრამ ჭეშმარიტად დიდი

აღიარება ლიტერატურის ასპარეზზე მას მოუტანა 1995 წელს დაწერილმა რომანმა, „წამკითხველი“ („Der Vorleser“).¹ ავტორის ყველა ნაწარმოები ციურხის დიოგენეს გამოცემლობაშია გამოცემული. ეს რომა-

1 Schlink, B. Der Vorleser, 1995.

ნი მწერ-ლის Magnum opus-ია.

ბ.შლინკის ნაწარმოები არის ლიტერატურული ტექსტი, რომელშიც გამოყენებულია განუმეორებელი, უნიკალური თხრობის ტექნიკა. რომანის ნარატივი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი ასპექტია. თხრობის სადა, მოზომილი მანერა სიუჟეტის არცერთი პასაჟის გადმოცემის დროს არ კარგავს თავის ტემპო-რიტმს.

სიუჟეტური კოლიზიები კი ამის საპირისპიროდ უაღრესად სწრაფად და კონტრასტულად ვითარდება და იცვლება.

მთავარი მოქმედი გმირების – მიხაელ ბერგის და ჰანნა შმიცის – ფსიქოტიპი თანდათანობით ღრმავდება და საფუძვლიანად არგუმენტირებული ფორმით მოეწოდება მკითხველს.

დანაშაულის და სასჯელის კონცეფცია უკავშირდება, პირველ რიგში, ჰანნა შმიცის პერსონაჟს. ნაწარმოების ძირითადი საზრისი თანდათან იშლება და ღრმავდება.

ჰანნა შმიცი ჩადის ორ დანაშაულს: 1. სექსუალურ ურთიერთობას ამყარებს არასრულწლოვანთან; და ყველაზე მთავარი – 2. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი SS-ის რიგებში ჩაეწერა და საკონცენტრაციო ბანაკის ზედამხედველი იყო. ჯერ აუსშვიცში, შემდეგ კრაკოვთან ახლოს ერთ პატარა საკონცენტრაციო ბანაკში.

როგორ მოხვდა ჰანნა შმიცი ბრალდებულთა სკამზე? ერთმა შემთხვევით გადარჩენილმა ებრაელმა ქალმა, ილონა მატერმა დაწერა წიგნი საკონცენტრაციო ბანაკში გატარებულ ცხოვრებაზე და ამხილა დამნაშავეები – პროცესზე ბრალდებულთა სკამზე ნ ქალია – მათ შორის ჰანნა შმიციც.

მაგრამ ჰანნა შმიცი მათგან ყველაზე გულახდილია, ამავე დროს, ყველაზე შეწუხებული, დამფრთხალი და გულჩათხრობილი. მან თავის თავზე აიღო მთავარი დანაშაული – თითქოს მან დაწერა აქტი ეკლესიაში მომხდარი ხანძრის შესახებ, სადაც ებრაელი ტყვეები იყვნენ დამწყვდეული. ოღონდ ეს აღიარება გააკეთა მას შემდეგ, რაც მოსამართლემ მისი ხელწერის იდენტიფიცირების პროცედურა მოითხოვა. სასამართლოზე აღნიშნეს ჰანნას თავისებური ქცევა საკონცენტრაციო ბანაკში – იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდა სუსტი

და ავადმყოფი ქალების მიმართ, რომლებიც ვერ გაუძლებდნენ „სასიკვდილო მარშს“, მას „გალოპიც“ კი უწოდეს, იმდენად სწრაფად უნდა ევლოთ თოვლსა და ყინვაში ეტაპებზე ტყვეებს. ყველა ეჭვობდა, რომ ჰანნა ლესბოსელი იყო, მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ის ამ გოგონებს სთხოვდა, მისთვის წიგნები წაკითხათ.

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი – ჰანნა შმიცს მიუსაჯეს უვადო პატიმრობა, დანარჩენებს მხოლოდ რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა.

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან – 1 ნაწილი 17 თავისგან შედგება (5–81 გვ. = 76 გვ.), მეორე ნაწილიც 17 თავისგან შედგება გვ. 83–157 (74 გვ.). მესამე ნაწილი – 12 მოკლე თავისგან გვ. 159–207 (48 გვ.).

მთელი ნარატივი პირველ პირშია გადმოცემული. ეს არის ავტორისეული ხმა და, ამავე დროს, მთავარი პერსონაჟის ხმა, ანუ ბერჰარდ შლინკი იყენებს დიეგეზისის ჰომოდიეგეტურ აუქტორიალურ ტიპს – სადაც პირველი პირი არის ნარატორი-აუქტორი ორმაგი ფუნქციით – მე მთხრობელი – Je-narrant და მე, რომლის შესახებაც მიმდინარეობს თხრობა – je-narre.

რომანის მოქმედება სამ სხვადასხვა დროში ხდება: პირველი ნაწილი 1958 წელს, ეს არის რომანის, ძირითადად, ლირიკული ექსპოზიციური თავი, რომელშიც მოთხრობილია მიხაელ ბერგისა და ჰანნას გაცნობის ამბავი, მათ შორის, სექსუალური კავშირის შესახებ, რომელიც ჩვენს თვალწინ გადაიქცევა მიხაელისთვის ნამდვილ სასიყვარულო ურთიერთობად. მაგრამ ჰანნა უეცრად ქრება და მიხაელი მის დანაკლისს განიცდის მთელი ცხოვრება. ის შემდგომში ხდება იურისტი, პირადი ცხოვრება არ აეწყო, გაშორდა ცოლს, გაუჩნდა ქალიშვილი, რომელიც ინტერნატიში იზრდება.

მეორე ნაწილი – 1966 წელს. ამ დროს მიხაელი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტია და თავის პროფესორთან და კურსელებთან ერთად ესწრება პროცესს. აქ ხდება მიხაელი ჰანნას უცნაური საქციელის მთავარ მიზეზს – მან წერა-კითხვა არ იცის.

„ამიტომ? ის, რომ მას წერა-კითხვის უცოდინრობისა რცხვენოდა, ის, რომ ჩემი საგონებელში ჩაგდება უფრო ხელს აძლევდა, ვიდრე თავის გამჟღავნება, ამის გაგება შემეძლო. სირცხვილი, როგორც მიზეზი, ორჭოფული, თავდაცვითი, მიჩქმალული, თვალთ-

მაქცური და ასევე შეურაცხყოფელი მოქმედებისა, ჩემთვის გასაგებია. მაგრამ როგორ, ამ სირცხვილის გამო იქცეოდა ასე ბანაკშიც და სასამართლო დარბაზშიც? და იმ შიშისა თუ სირცხვილის გამო, რომ მისი წერა-კითხვის უცოდინრობა არ გამჟღავნებულიყო, იმიტომ აღიარა თავი დამნაშავედ? დამნაშავედ ყოფნა არჩია, რომ არავის გაეგო მისი წერა-კითხვის უცოდინრობა?“.

მას მერე რამდენჯერ მიმიმართავს საკუთარი თავისათვის ერთი და იმავე შეკითხვით: „ნუთუ ჰანნას ქცევის ძირითადი მიზეზი იყო შიში, რომ არ ემხილებინათ მისი ეს საიდუმლო? ნუთუ უმტკივნეულო მხილებას დამნაშავეს მტკივნეული მხილება არჩია? ნუთუ ეგონა, რომ მომავალშიც ამ საიდუმლოს გამხელის გარეშე დაიძვრებდა თავს? ნუთუ ასეთი მიუხვედრელი იყო? თუ ბუნებით თავდაპირველი კუდაბზიკა და ღვარძლიანი იყო და შეეძლო დამნაშავე გამხდარიყო, ოღონდაც თავი წერა-კითხვის უცოდინრად არ გაემჟღავნებინა?“²

მესამე – 1984 წელს. ჰანნას პატიმრობიდან 18 წელი გავიდა და მისი შეწყალების თხოვნა დააკმაყოფილეს.

მიხაელი მას მხოლოდ ერთხელ ესტუმრება, მისი გამოსვლის წინა დღეს, მაგრამ ჰანნა ციხეში თავს ჩამოიხრჩობს და წერილს, ერთგვარ ანდერძს, უტოვებს მიხაელს.

ჰანნა შმიცის ფსიქოტიპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ანალფაბეტიზმი – წერა-კითხვის უცოდინრობა. ანალფაბეტიზმის მიზეზი სხვადასხვაა – რიგ შემთხვევებში ეს შეზღუდულ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს. ჰანნა შმიცის წერა-კითხვის უცოდინრობის მიზეზი არის მისი დაბალი სოციალური წარმომავლობა. ანალფაბეტიზმი, როგორც წესი, მაღალე ამ ფაქტს. ასევე იქცევა ჰანნა შმიცი, რომელიც ამ ნაკლის დამალვის მსხვერპლი ხდება და მას სასამართლო პროცესზე მიუსჯიან უვადო პატიმრობას. პატიმრობაში ყოფნისას ჰანნა შმიცი იღებს აუდიოკასეტებს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ჩანაწერებით, რომლებსაც მისთვის მიხაელ ბერგი კითხულობს. ამის წყალობით იგი მეტამორფოზას განიცდის – ის დაეუფლება წერა-კითხვას და

გაიაზრებს თავის დანაშაულს, რის შედეგადაც ციხეში თავს ჩამოიხრჩობს. ის თავის ადგილს თანამედროვე რეალობაში ვეღარ ხედავს.

ბრიტანელი თეატრისა და კინოს ცნობილი რეჟისორის, სტივენ დოლდრის მიერ 2008 წელს გადაღებული კინოდაპტაცია თავისი ვარსკვლავური შემადგენლობით (ქეთ უინსლეთი, რაფ ფაინზი, დავიდ კროსი) საკმაოდ ზუსტად მიყვება ლიტერატურულ პირველწყაროს. როგორც წიგნი, ისე ფილმი წარმოადგენს დიდ სასიყვარულო დრამას და პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენის გასამართლების დრამას, რაც კარლ იასპერსის ცნობილი ლექციის „გერმანელთა დანაშაულის საკითხი“³ (1946) ტრილში უნდა განვიხილოთ. (კ. იასპერსის ამ წიგნს ფილმში პროფესორი იხილავს ლექციაზე, წიგნში კი შლინკი მას არ ახსენებს, მაგრამ რომანის ძირითადი ნარატივი სწორედ ამ იასპერსისეულ მოდელს მიყვება). კ. იასპერსი სქემატურად იხილავს შემდეგ საკითხებს:

ის განასხვავებს დანაშაულის 4 ცნებას: კრიმინალურს, პოლიტიკურს, მორალურს და მეტაფიზიკურ დანაშაულს. კ. იასპერსი თანამიმდევრულად იხილავს შემდეგ საკითხებს: დანაშაულის შედეგები; ძალაუფლება-სამართალი-შეწყალება; ვინ ასამართლებს და ვის ასამართლებენ? დაცვა.

რაც შეეხება გერმანულ საკითხებს, აქ გამოკვეთილია გერმანული დანაშაულის დიფერენცირება: დანაშაულებრივი ქმედებები, ანუ კრიმინალური დანაშაული; პოლიტიკური დანაშაული; მორალური დანაშაული; მეტაფიზიკური დანაშაული. რაღა თქმა უნდა, კ. იასპერსი დეტალურად იხილავს თემებს: ა) დანაშაულის შედეგები და ბ) კოლექტიური დანაშაული. მეორე თავში კი გამიჯნული და გავრცობილია – პატიების შესაძლებლობები, ასევე ტერორიზმი, დანაშაული და ისტორიული კონტექსტი, სხვათა დანაშაული, ყველას დანაშაული?

მესამე თავი ეთმობა საზოგადოების წევრების განწმენდას ანუ პურიფიკაციას: აქაც ორი გზა არის განხილული: ა) განწმენდისგან თავის დაღწევა და ბ) გზა განწმენდისკენ.

რომანი დაწერილია პირველ პირში. ფილმის სცენარისტმა დევის ჰეარმა / Davis Hare და რეჟისორმა

2 შლინკი, წამკითხველი, 2022, გვ. 116.

3 Jaspers, Die Schuldfrage 1946, Lambert Schneider, Heidelberg.

სტივენ დოლდრიმ / Stephen Daldry აბსოლუტურად სწორი გზა და ხერხი მოძებნეს, რათა თავიდან აერიდებინათ მთხრობელის ხმა კადრსმიღმა (რაც უდავოდ ნაკლებად არის კინემატოგრაფიული ხერხი). ვიზუალური პერსპექტივა მიყვება და ემთხვევა სემანტიკურ ნარატივს. აქცენტები გადატანილია მაყურებელსა და ფილმის პერსონაჟების ისტორიას შორის დისტანციის შემცირებაზე. ამ გზით უნივერსალური ისტორია ფოკუსირდება კონკრეტული პერსონაჟების პირად, ინდივიდუალურ ბედ-ილბალზე.⁴

ფილმის ქრონომეტრაჟი მოიცავს 2 საათს. როგორც უკვე აღვნიშნე, რომანი შედგება სამი ნაწილისაგან – 1 ნაწილი 17 თავისგან შედგება (5-81 გვ. = 76 გვ.), მეორე ნაწილი 17 თავისგან შედგება გვ. 83-157 (74 გვ.). მესამე ნაწილი – 12 მოკლე თავისგან გვ. 159-207 (48 გვ.). პირველი ნაწილის მოქმედება ხდება 1958 წელს, მეორესი – 1966 წელს, მესამესი – 1984 წელს. ფილმის ნარატივიც ამ სქემას მიყვება – 1. ბერლინი, გერმანია 1995 წელი, 2. 1958 წელი, ნოიშტადტი, 3. 1966 ჰაიდელბერგი, და 4. ბოლოს ისევ 1995 წელი.

1. პირველი კადრები – კვერცხი, ყავა, წესრიგი, სადა ფერები, სიმეტრია; მიხაელ ბერგს აქვს კონტაქტის სირთულე; მას არ ჰყავს „მუდმივი“ სექსუალური პარტნიორი; ის გადაშლის რვეულს, რომელშიც ჩაწერილია ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც მას ჰანნასთვის წაუკითხავს. მანქანაში რადიოთი მოისმენს მუსიკას (ფილმის მეოთხე წუთზე) – ეს არის ჯოვანი პიერლუიჯი პალესტრინას (1525-1594) მოტეტი *Pueri Hebraeorum*. ამ 1555 წელს შექმნილ ნაწარმოებს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ფილმის ნარატივის სემანტიკის და მეტაფორიკის გამოკვეთისათვის – მისი ტექსტი ლათინურად სრულდება და თარგმანში ასე ჟღერს: „ებრაელი ბავშვები ზეთისხილის რტოებით გამოვიდნენ უფლის შესახვედრად, შეჰლაღადეს და თქვეს: ოსანა ზეციით“. (*Pueri Hebraeorum portantes ramos olivarum obviaverunt Domino clamantes et dicentes: Hosanna in excelsis*). ის სამკერ ჟღერს ფილმში – დასაწყისში, შემდეგ ჰანნასთან ერთად ექსკურსიის დროს ფილმის ქრონომეტრაჟის მიხედვით 31-35 წუთებზე, როდესაც ერთ პატარა ეკლესიაში

(ფილმში გადაღებულია მარია შნეეს მომლოცველთა ეკლესია (Schönlinde-Schnauhübel (Krásná Lípa – Sněžná), რომელიც ბოჰემიის შლუკენაუს კუთხეში მდებარეობს. და ბოლოს, ფილმის დასასრულს, როდესაც ამავე ეკლესიის ეზოში დაკრძალული ჰანას საფლავზე მივა ქალიშვილთან ერთად 1995 იანვარში – ჰანას საფლავთან შვილს უყვება თავისი და ჰანნას ცხოვრების ამბავს. 1 სთ. და 53 წთ. – 55 წთ.-ზე თავდება.

2. მიხაელ ბერგს ნოსტალგია შეიპყრობს, ის დაინახავს ტრამვაის და იწყება ფლეშბეკი: ფილმის მეოთხე წუთზე: 1958 წელი ტრამვაიში გახდება ცუდად, ეზო, ქალი. წყალი. ყვითელი. გამოჯანმრთელება. ყვავილები და პირველი სტუმრობა ჰანნასთან. აქვე იწყება მათი ინტიმური ურთიერთობა. ფილმის მეცხრამეტე წუთზე (19 წთ) მიხაელ ბერგი გიმნაზიაში ბრუნდება. საკლასო ოთახში დაფაზე წერია ცარციტ „გოეთე“. მასწავლებელი ამ წარწერას შლის და ცარციტზე წერს „ოდისეა“. ისმის მასწავლებლის კომენტარი: „საიდუმლოების ცნება დასავლური ლიტერატურის ქვაკუთხეა. შეიძლება ითქვას, რომ პერსონაჟის მთელ არსს განსაზღვრავენ ადამიანები, რომლებიც ფლობენ კონკრეტულ ინფორმაციას, მაგრამ რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ამხელენ. „A notion of secrecy is centre to western literature. You may say, the whole idea of the character is defined by people holding specific information, which of various reasons, sometimes converse, sometimes noble, are determined not to disclose“.
3. ამავე მეცხრამეტე წუთზე ის იწყებს წამკითხველის ფუნქციის შესრულებას.
4. ფლეშბეკი – 37. წთ. გიმნაზია – მასწავლებელი: „ოდისეა. ყველა თვლის, რომ წიგნის ძირითადი თემაა შინ დაბრუნება. სინამდვილეში ოდისეა მოგზაურობას ეხება. სახლი ის ადგილია, რომელზეც ის ოცნებობს“. „The Odyssee. Everyone believes common subject of the book is home coming. In the fact the Odyssee is about the journey. Home is the place he dream of“.
5. ჰანნას ახასიათებს მანიაკალური სწრაფვა სისუფ-

4 Rodek, Hanns-Georg. „Der Vorleser“ überzeugt trotz Hochglanz-KZ“. Rezension veröffentlicht in der Zeitschrift „Die Welt“, 06.02.2009.

- თავისა და წესრიგისადმი. ფილმში ბანაობას განსაკუთრებული ყურადღება და ადგილი ეთმობა, რაც ერთგვარი მინიშნებაა – ინდექსი განბანვის ანუ პუფიკაციის.
6. როდესაც ჰანნას ტრამვაის სამმართველოში დააწინაურებენ, ის თავის ბარგს შეკრავს, ბინას დაცლის და ქალაქს დატოვებს. ეს ხდება ფილმის 45-ე წუთზე. ამავე წუთას მიხაელი მოვა მასთან სახლში და მიხვდება, რომ ჰანნა წავიდა. მიხაელი იწყებს ახალ ცხოვრებას – ჰანნას გარეშე.
 7. ფილმის 46-47-48 წთ.ზე ხდება თავის ქალიშვილს, 1995 წ.
 8. 1 სთ. და 22 წთ. – მატარებელში ქალიშვილთან ერთად. 1976 წელი. მიდის დედასთან. შორდება ცოლს.
 9. 49-ე წთ. – მიხაელი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია და პროფესორი სტუდენტებს დავალებად აძლევს კარლ იასპერსის „გერმანელთა დანაშაულის“ წაკითხვას და განხილვას. The Professor – „We are going to start with the reading this, gentleman, the question of German guilt by Karl Jaspers.
 10. სასამართლო პროცესი იწყება ფილმის 50-ე წუთზე და თავდება – 1 სთ. და 21 წუთი. (ჯამში ქრონომეტრაჟის 31 წუთს იკავებს).
 11. ფილმის 55-ე წუთზე პროფესორი სტუდენტებთან განიხილავს პროცესზე დანახულს – „საზოგადოებები ფიქრობენ, რომ ისინი მოქმედებენ რაღაცით, რასაც მორალი ჰქვია, მაგრამ ასე არ არის. ისინი მოქმედებენ რაღაც კანონით. შენ არაფერში არ ხარ დამნაშავე მხოლოდ ოსვენციმში მუშაობის გამო, იქ 8000 ადამიანი მუშაობდა, ზუსტად 19 არის ნასამართლენი და მხოლოდ 6 მკვლელობისთვის. მკვლელობის დასამტკიცებლად, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ ეს განზრახვა იყო. – ეს არის კანონი. არასოდეს ვსვამთ კითხვას – იყო თუ არა ეს არასწორი, არამედ იყო თუ არა ეს კანონიერი. და ამას ვსვით არა ჩვენი კანონებით. არა. მაგრამ კანონი დროა... დიახ, კანონი ვიწროა. მეორე მხრივ, მე ეჭვი მაქვს, რომ ადამიანებმა, რომლებმაც სხვა ადამიანები მოკლეს, იცოდნენ, რომ ეს არასწორია.“
- „Societies think they operate by something called morality, but they don't. They operate by something called Law. You are not guilty of anything merely by working at Auschwitz, 8000 people worked there, precisely 19 have been convicted, and only 6 for murder. To prove murder, you have to prove the intent. – That's the Law. The question is never - was it wrong, but was it legal. And not by our Laws. No. But the Law is the time... Yes, the Law is narrow. On the other hand, I suspect, people who killed other people, tend to be aware, that it's wrong.“
12. მიხაელი ხელში იღებს ჰომეროსის „ოდისეას“ და იწყებს თავისი წამკითხველის ფუნქციის გაგრძელებას – 1 სთ. და 25 წთ. – ოლონდ, ამჯერად, ის კასეტებზე წერს წაკითხულს და უგზავნის ჰანნას ამ კასეტებს ციხეში. ოლონდ წერილებს არ წერს.
 13. ჰანნა იწყებს კასეტების მიღებას და მოსმენას. შედის ბიბლიოთეკაში და იღებს წიგნს – „ქალი ძალღიობით“. ასე იწყებს ის წერა-კითხვის სწავლას. 1 სთ და 30 წთ.
 14. 1980 წ. დასავლეთ ბერლინი – პირველი წერილი ჰანნასგან – 1 სთ. და 34 წთ.
 15. 1 სთ. და 36 წთ. წუთი. მიხაელი მიდის ციხეში ჰანნასთან.
 16. 1988 წელს მიხაელი ციხის უფროსისგან იღებს წერილს. ჰანნამ 20 წელზე მეტი გაატარა პატიმრობაში.
 17. 1 სთ. და 42 წთ. – ჰანნა თავს ჩამოიხრჩობს საკანში.
 18. 1 სთ. და 45 წთ. – 1 სთ. და 53 წთ. – ნიუ-იორკი, ილანა მატერთან. ფულს არ აიღებს, რადგან ეს ჰანნას პატიება იქნებოდა მისი მხრიდან, მას კი ეს არ სურს. მიხაელი შესთავაზებს, რომ ეს ფული წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის ფონდში გადაერიცხა. არის ასეთი ებრაული ორგანიზაცია? იკითხა მიხაელმა. ქალს გაეცინა, და თქვა – ებრაელებს ყველანაირი ორგანიზაცია აქვთო. მხოლოდ უწიგნურობა ებრაელებისათვის არ არის დამახასიათებელიო. თქვენ თავად მოძებნეთ და გადარიცხეთ ფულიო. კოლოფს კი დავიტოვებო.
 19. 1 სთ. და 53 წთ. – 1 სთ. და 55 წთ.-ზე. – ფილმის მოქმედება თავდება 1995 წლის იანვარში – ჰანნას საფლავთან მიხაელი შვილს უყვება თავისი და ჰანნას ცხოვრების ამბავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Schlink, Bernhard. Der Vorleser, Diogenes Verlag, Zürich, 1997.
- შლინკი, ბ. წამკითხველი. თბილისი, „ინტელექტი“, 2022.
- Schlink, Bernhard. The Reader. Translated from the German by Carol Brown Janeway. Vintage International. Vintage books. A Division of Random house, Inc. New York. 1997.
- Jaspers, Karl. Die Schuldfrage. Lambert Schneider, Heidelberg. 1946.
- Jaspers, Karl. The question of German guilt. Translated by E.B. Ashton; with a new introduction by Joseph W. Koterski. Series editor John D. Caputo. Series: Perspectives in Continental Philosophy. Copyright Date: 1965. Published by: Fordham University Press. <https://doi.org/10.2307/j.ctt13wzz9w>. <https://www.jstor.org/stable/j.ctt13wzz9w>.
- Rodek, Hanns-Georg. „Der Vorleser“ überzeugt trotz Hochglanz-KZ“. Rezension veröffentlicht in der Zeitschrift „Die Welt“, 06.02.2009.

THE READER/DER VORLESER BY BERNHARD SCHLINK AND ITS 2008 FILM ADAPTATION BY STEPHEN DALDRY: CONCEPT OF GUILT AND PUNISHMENT

Manana Paitchadze

Keywords: *Bernhard Schlink, The Reader, Karl Jaspers, Stephen Daldry, Kate Winslet, Ralph Fiennes, David Kross*

The novel of the famous German jurist and writer Bernhard Schlink “The Reader” (1995) is his magnum opus, although he is also the author of 12 other quite successful books. “The Reader” is a literary text, written with a unique narrative technique. At first glance, the narrative does not seem to present anything special, and yet: the simple, balanced narrative style does not lose its tempo-rhythm in any passage of the presentation of the subject. The thematic collisions, on the contrary, are quickly and contrastingly changed. The psychotype of the main characters – Michael Berg and Hanna Schmitz – is gradually deepened and portrayed thoroughly, but also argued. The concept of guilt and atonement/repentance or punishment is connected with the main character of Hanna Schmitz – she had joined the SS as a 20-year-old in 1943 and became a supervisor in the concentration camp. Among other things, she had the convicts read to her. The trial takes place 20 years after the end of the war – here the law student Michael Berg sees Hanna again for years. Michael Berg, who enjoyed his first sexual relationship with her as a minor youth, unconsciously became a victim of this relationship, which unfolds for him into a true love affair. A special component of Hanna Schmitz’s psychotype is her illiteracy – illiterate people usually try to hide this deficiency. Hanna does the same. The reasons of Hanna’s illiteracy is her low social background and not mental disability. Michael is the only one who recognizes the reason for Hanna’s attitude. She is sentenced to life in prison. In prison she undergoes a metamorphosis – she learns to read and write in a special way by listening to audio cassettes with the books read by Michael Berg. They are the exquisite masterpieces of world literature. It is a drama – a love drama and the drama of becoming aware of the guilty act – Hanna hangs herself in prison on the day she is to be released. She sees no place for herself in the real world. She remains in her isolation. The film adaptation of the book was made by the British director Stephen Daldry from 2008 with a star cast – Kate Winslet, Ralph Fiennes, David Kross. In the film, the narrative perspective is changed – instead of the first-person narrator, a cinematic retrospective method is used. Both the book and the film adaptation should be viewed from the perspective of Karl Jaspers’ 1946 writing, “The Question of Guilt.”

The *Reader*, a 1995 novel by famous German jurist and writer Bernhard Schlink,¹ is his magnum opus, though he has also authored 12 other successful books. *The Reader* is a literary text written with a unique narrative technique. At first glance, the narrative does not seem to offer anything special and yet the simple,

balanced narrative style does not lose its tempo-rhythm in any passage of the presentation of the subject. The thematic collisions, on the contrary, are changed quickly and contrastingly. The psychological type of the main characters, Michael Berg and Hanna Schmitz, is gradually deepened and portrayed in a thorough and convincing

1 Schlink, B. *Der Vorleser*, Diogenes Verlag, Zürich, 1995.

manner.

The concept of guilt and atonement/repentance or punishment is linked to the main character of Hanna Schmitz who commits two crimes. Firstly, she has sex with minors; and, more importantly, she joins the SS as a 20-year-old in 1943 to become a supervisor in the concentration camp. The trial takes place 20 years after the end of the war – here, law student Michael Berg sees Hanna again years later.

Michael Berg, who had his first sexual relationship with her as a minor youth, unwittingly became the victim of this relationship, which unfolds into a true love affair for him.

How did Hanna Schmitz end up in the dock? One of the survivors of the burning of convicts imprisoned in a church, a certain Ilona Matter, wrote a book about her years in the concentration camp, describing in detail the burning and the death gallop—her way of describing the march of the convicts through the snow and frost. There are five other women on the defendants' bench apart from Hanna. But Hanna, unlike the other defendants, behaves sincerely, she feels taken and irritated. She is taciturn. She is accused of having her "favorites" among the convicts, especially weak and sick young girls and women, and it was even thought that she was a lesbian and sexually abused the convicts. Only later did they find out that Hanna asked them to read books to her. She admitted to being the leader of the wardens and having written a report about the burning of the church. Only after an expert opinion of her handwriting is requested does she admit to having written the report. Hanna is sentenced to life in prison. The others receive shorter prison sentences.

The novel consists of three parts: the first consists of 17 chapters (pp. 5–81= 76 pages in total), the second also consists of 17 chapters (pp. 83–157= 74 pages in total), the third part consists of 12 short chapters (pp. 159–207= 48 pages in total).

The whole narrative is told in the first person. This is the author's voice and at the same time the voice of the main character. B. Schlink uses the homodiegetic auctorial narrative type of diegesis, with the first person as the narrator-auctor with dual function: I the narrator and

I the subject of narrative.

The action of the novel takes place in three different times: the first is set in 1958, the most important part of the exposition talking about the meeting of Michael Berg and Hanna, their sexual relationship and the bond that unfolds into a true love affair for Michael. But Hanna suddenly disappears and Michael has to come to terms with this for the rest of his life. He becomes a lawyer, his private life not happy at all. He marries and fathers a daughter. However, he soon divorces and his daughter is educated in a boarding school.

The action of the second part takes place in 1966, with Michael studying law in Heidelberg University. He attends the court trial with his professor and fellow students. It is during the trial that he is the only one to recognize the reason for Hanna's attitude; she is illiterate:

"Was that why? I could understand that she was ashamed at not being able to read or write, and would rather drive me away than expose herself. I was no stranger to shame as the cause of behavior that was deviant or defensive, secretive or misleading or hurtful. But could Hanna's shame at being illiterate be sufficient reason for her behavior at the trial or in the camp? To accept exposure as a criminal for fear of being exposed as an illiterate? To commit crimes to avoid the same thing?"²

The third part takes place in 1984. 18 years have passed since Hanna's arrest and her request for release has been approved.

Michael visits her in prison only once, the eve of her release. But Hanna hangs herself in prison on the day she is to be released. She leaves a letter for Michael, a kind of will.

A special component of Hanna Schmitz's psychological type is her illiteracy: illiterate people usually try to hide this deficiency. Hanna does the same. The reasons for Hanna's illiteracy are her low social background and not her mental disability.

In prison she experiences a metamorphosis, learning to read and write by listening to audio cassettes of books read by Michael Berg. These are exquisite masterpieces of world literature.

It is a drama, one of love and of becoming aware of the act of guilt: Hanna hangs herself in prison on the day

² Schlink, Bernhard. *The Reader*, 1997, 128.

she is to be released. She sees no place for herself in the real world. She remains in isolation.

The 2008 film adaptation of the book by British director Stephen Daldry with a star-studded cast (Kate Winslet, Ralph Fiennes, David Kross) can rightly be called successful.

The film follows the narrative of the novel. Both the book and the film present a great drama of love, but at the same time also a great drama of condemnation of political guilt. All this should be seen in light of Karl Jaspers' well-known lecture *The Question of Guilt*³ (1946). (In the film, this writing by K. Jaspers is recommended by the professor to the students as the main reading, but in the novel this writing is omitted, yet the main narrative of the novel follows precisely this model of Karl Jaspers).

K. Jaspers schematizes the following questions: he distinguishes 4 types or concepts of guilt: criminal, political, moral and metaphysical guilt. He also consistently examines the consequences of guilt; violence, justice and mercy; who judges and who is judged? And defense.

As for the question of German guilt, the writing differentiates: Crime, Political Guilt, Moral Guilt and Metaphysical Guilt. Of course, K. Jaspers also deals in detail with the following points: a) consequences of guilt and b) collective guilt. The second chapter of the paper discusses the following questions: Possibilities of apology, as well - Terrorism; Guilt and historical context; The guilt of others; All guilt? The third chapter is devoted to the question of purification: Our Purification.

Two possibilities are considered here: 1. Evasion of purification and 2. The way of purification.

The novel is written in the first person. Screenwriter Davis Hare and director Stephen Daldry found absolutely right solution to avoid the narrator's voice in the film "because omniscient narrators talking from background in cinema are almost always an unfilmic crutch."⁴ The emphasis is shifted to minimizing the distance between the viewer and the personal story of the film characters. In this way, the universal story is focused on the individ-

ual fate of the characters.

The film is 2 hours long. The novel consists of three parts: the first consists of 17 chapters (pp. 5-81= 76 pages in total), the second also consists of 17 chapters (pp. 83-157= 74 pages in total), the third part consists of 12 short chapters (pp. 159-207= 48 pages in total). In the first part the action takes place in 1958, in the second in 1966, in the third in 1984.

The narrative of the film follows this pattern: 1. Berlin, Germany, 1995, 2. 1958, Neustadt, 3. 1966 Heidelberg, and 4. Finally, 1995 again.

1. The first strips: an egg, coffee, order, plain colors, symmetry; Michael Berg is not particularly sociable; he has no steady girlfriend; he takes a notebook in which all the books he had read to Hanna are entered in careful handwriting. In the car he hears music (the film's 4th minute), 1555 motet by Giovanni Pierluigi da Palestrina (1525-1594). The motet *Pueri Hebraeorum's* Latin text reads "Portantes ramos olivarum obviaverunt Domino clamantes et dicentes: Hosanna in excelsis". "The Hebrew children bearing olive branches went forth to meet the Lord, crying out and saying: Hosanna in the highest". This motet plays an extremely important role in highlighting the semantics and metaphors of the film. This motet is heard three times in the film: during Hanna and Michael's outing in a small village church in the 31st-34th minute of the film (in the film, the small pilgrimage chapel of Maria Schnee in Schönlinde-Schnauhübel [Krásná Lípa – Sněžná] in Schluckenau, Bohemia is filmed). And at the end of the film, when Michael with his daughter visits the grave of Hanna in January 1995. The film ends in the 1st hour and 53-55 minutes. (113th-115th minutes in total).
2. Michael Berg is yearning. He sees a tram and the flashback begins: in the 4th minute of the strip: 1958, nausea, a yard, a woman, water, jaundice, illness, recovery. Flowers and the first visit to Hanna. This is also where the intimate relationship between them

³ Jaspers, *Die Schuldfrage* 1946, Lambert Schneider, Heidelberg.

Jaspers, Karl. *The question of German guilt*. Translated by E.B. Ashton; with a new introduction by Joseph W. Koterski. Series editor John D. Caputo. Series: *Perspectives in Continental Philosophy*. Copyright Date: 1965. Published by: Fordham University Press.

⁴ Rodek, "Der Vorleser", 2009.

- begins. In the 19th minute of the film, Michael returns to grammar school. In the classroom, Goethe is chalk-written on the blackboard. The teacher wipes it away, writes *Odyssey* and makes a comment: “A notion of secrecy is center to western literature. You may say, the whole idea of the character is defined by people holding specific information, which of various reasons, sometimes converse, sometimes noble, are determined not to disclose.”
3. In the same 19th minute, Michael begins to be a Reader.
 4. Flashback (37th minute): high school, teacher’s comment: “The *Odyssey*. Everyone believes common subject of the book is home coming. In fact, The *Odyssey* is about the journey. Home is the place the author dream of.”
 5. Hanna has a neat-freak, to which special attention is paid in the film (even more effectively than in the book)—this is at the same time a sign indexing purification.
 6. When Hanna is promoted in the tram depot, she packs up, cleans the flat and leaves town. This happens in the 45th minute. Immediately after she leaves, Michael arrives, but soon realizes that Hanna is gone. Michael Berg begins his new life, without Hanna.
 7. 1995, in the 46th-47th-48th minutes he meets with his daughter.
 8. 1 hour and 22 minutes: he is seen on the train with his daughter. The year is 1976. He goes to his mother to tell her he is getting divorced.
 9. 49th minute: Michael is a law student at Heidelberg University. The professor gives the students an assignment to read and discuss *The Question of Guilt* by Karl Jaspers.
 10. The trial begins in the 50th minute and lasts 31 minutes.
 11. In the 55th minute, the professor discusses what he saw at the trial. His comment is: “Societies think they operate by something called morality, but they don’t. They operate by something called law. They operate by something called Law. You are not guilty of anything merely by working at Auschwitz, 8,000 people worked there, precisely 19 have been convicted, and only 6 for murder. To prove murder, you have to prove the intent. That’s the law. The question is never was it wrong, but was it legal. And not by our Laws. No. But the law is the time... Yes, the law is narrow. On the other hand, I suspect, people who killed other people, tend to be aware, that it’s wrong.”
 12. 1 hour and 25 minutes: Michael takes *The Odyssey* and begins his role of Reader; he records everything on audio cassettes which he sends to Hanna in prison. But he does not write any letters.
 13. Hanna receives the cassettes and listens to them. Then she goes to the library, takes the book *The Lady with a Little Dog* and starts learning the alphabet. (1 hour and 30 minutes).
 14. 1980, West Berlin: Michael receives the first letter from Hanna. 1 hour and 34 minutes.
 15. 1 hour and 36 minutes: Michael goes to prison.
 16. 1988: Michael receives a letter from the prison warden. Hanna has spent more than 20 years in prison.
 17. 1 hour and 42 minutes: Hanna hangs herself in prison.
 18. 1 hour and 45th-1 hour and 53rd minute: New York, Michael at Lana Matter’s. She does not want to take money from Hanna because that would mean she would be handing her absolution. And she does not want that. Michael suggests giving the money to a foundation that fights illiteracy.
 19. 1 hour and 53-55 minutes: the plot of the film ends in January 1995 at Hanna’s gravesite, which he visits together with his daughter and tells the daughter his life story.

In an interview with the *Frankfurter Allgemeine Zeitung*⁵, Bernhard Schlink defends himself against the following “misinterpretations”: He does not mean that

 - Hanna Schmitz was innocent because she was illiterate
 - One is moral if one is only educated
 - Hanna Schmitz had understood her guilt and had purified herself by learning to read
 - The novel is a key novel about sexual abuse; this view “shamefully shortchanges the reality of love”.

To the latter thesis, Jan Schulz-Ojala replied in 2009: “No, the encounter between someone who has closed

5 Im Gespräch: Bernhard Schlink. Herr Schlink, ist „Der Vorleser“ Geschichte? In: *Frankfurter Allgemeine Zeitung*, 20. Februar 2009.

herself off from the world and someone whom she uses and allows to touch her body as a reward cannot be a love story.”⁶

However, I repeat emphatically that both the book and the film are a great drama of love, but at the same time a great drama of condemnation of political guilt.

REFERENCES:

- Schlink, Bernhard. *Der Vorleser*, Diogenes Verlag, Zürich, 1997.
- შლინკი, ბ. წამკითხველი. თბილისი, „ინტელექტი“, 2022.
- Schlink, Bernhard. *The Reader*. Translated from the German by Carol Brown Janeway. Vintage International. Vintage books. A Division of Random house, Inc. New York. 1997.
- Jaspers, Karl. *Die Schuldfrage*. Lambert Schneider, Heidelberg. 1946.
- Jaspers, Karl. *The question of German guilt*. Translated by E.B. Ashton; with a new introduction by Joseph W. Koterski. Series editor John D. Caputo. Series: *Perspectives in Continental Philosophy*. Copyright Date: 1965. Published by: Fordham University Press. <https://doi.org/10.2307/j.ctt13wzz9w>. <https://www.jstor.org/stable/j.ctt13wzz9w>.
- Rodek, Hanns-Georg. “Der Vorleser” überzeugt trotz Hochglanz-KZ“. Rezension veröffentlicht in der Zeitschrift „Die Welt“, 06.02.2009.

⁶ Schulz-Ojala, Jan. Schlink-Verfilmung „Der Vorleser“: Die Unmoral der Liebe. *Der Tagesspiegel*. 26. Februar 2009.